საგადახდო დავალება ეროვნული ვალუტის გადარიცხვაზე N 0

ID 478824541

პროკრედიტ ბანკი ProCredit Bank Georgia

გადამხდელის დასახელება	შპს ველე დეველოპმენტ	თანხა ციფრებით
პირადი #/ საიდენტიფიკაციო კოდი	412724164	112,605.25
ანგარიშის ნომერი	GE28PC0013600100047047	თანხა სიტყვებით
გადამხდელის ბანკი	სს "პროკრედიტ ბანკი" კოდი: MIBGGE22	ასთორმეტი ათას ექვსასხუთი ლარი 25 თეთრი

სახელმწიფო ხაზინაში გადახდა - ინფორმაცია პირზე, რომლის მაგივრადაც სრულდება გადახდა

დასახელება	შპს ველე დეველოპმენტ	☐ სწრაფი გადარიცხვა (დამატებითი საკომისიო)
პირადი #/ საიდენტიფიკაციო კოდი	412724164	სწრაფი რეჟიმით გადარიცხვა სრულდება მხოლოდ 09:30 სთ-დან 16:00 სთ-მდე

მიმღების დასახელება	ბიუჯეტის შემოსულობების ერთიანი ანგარიში(სხვა შემოსულობები/თვითმმართველი ქალაქი თბილისი)	ბანკის აღნიშვნები
ანგარიში / სახაზინო კოდი	300773191	ბანკში შემოსვლის თარიღი
მიმღების ბანკი / ხაზინა	საქ.ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური კოდი: TRESGE22	05.12.2017 13:57
გადახდის დანიშნულება	მოსაკრებელი სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის	
დამატებითი ინფორმაცია	მერის განკარგულების ბრძანების ნომერი: N 237 თარიღი - 02/11/2011, ნაკვეთის საკადასტრო კოდი: 01.10.13.034.002 დამკვეთი: შპს "ველე დეველოპმენტი" საიდენტიფიკაციო კოდი:412724164 მშენებლობის ნებართვის ბრძანება: N 2349209 თარიღი - 18/12/2015	ხელმოწერა

ხელმოწერები

ბეჭდის ადგილი

თარიღი: 05.12.2017

ქალაქ თბილისის მერი

განკარგულება № 237

„ 11 „ თებერვალი 2011 წ.

ქ. თბილისში, ალექსიძის ქუჩაზე არსებულ მიწის ნაკვეთზე, (საკადასტრო კოდი: №01/10/13/034/002), მრავალფუნქციური შენობა-ნაგებობის განთავსების მიზნით, ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის შესახებ

„საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის, “ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის №4-13 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების 25-ე, 26-ე მუხლების, ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის 2011 წლის 2 თებერვლის №4 სხდომის ოქმის შესაბამისად:

1. ქ. თბილისში, ალექსიძის ქუჩაზე არსებულ მიწის ნაკვეთზე, (საკადასტრო კოდი: №01/10/13/034/002), მრავალფუნქციური შენობა-ნაგებობის განსათავსებლად, ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის ინტენსივობის კოეფიციენტის: (კ2) გადამეტების მიზნით, გაიცეს სპეციალური (ზონალური) შეთანხმება საპროექტო წინადადებით, წარმოდგენილი პარამეტრების შესაბამისად და განისაზღვროს: კ2=5,5.

2. სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის მოსაკრებელი გადახდეყინებულ იქნეს ”ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ” საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის, 122-ე მუხლისა და ”ქალაქ თბილისის ტერიტორიებზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ” ქ. თბილისის საკრებულოს 29.06.07 №7-41 გადაწყვეტილების შესაბამისად.

3. დაევალოს ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურს: შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემისას, გაითვალისწინოს კომისიის რეკომენდაციები.

4. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის უფროსს ა. ბოჭოიძეს.

5. წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ვასაჩივრება შესაძლებელია თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №64) გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის

სხდომის ოქმი №4

ქ. თბილისი 2 თებერვალი 2011 წელი.

სხდომას ესწრებოდნენ:

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე: არისი ბოჭოიძე

კომისიის აღმასრულებელი მდივანი: კახაბერ ნიაური

კომისიის წევრები: ნინო გვენცაძე, დავით აბულაძე, გიორგი ჩაჩანიძე, დავით მახარობლიშვილი, გია აბულაძე, მანუჩარ მახათაძე, მაკა შავიშვილი.

მოწვეულები: დ. ბაირამაშვილი, რ. გაჩეჩილაძე, დ. გაჩეჩილაძე, მ. ჩხენკელი, თ. გოგინაშვილი, გ. ბზეკალავა, გ. შაიშმელაშვილი, ალ. მამუჩაშვილი, გ. თეთრაშვილი, ვ. ძგიბაშვილი, დ. ბენაშვილი, ს. ჩხენკელი, ვ. კაპანაძე, ნ. ევგენიძე, ე. მალანია, გ. გოგინაშვილი.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. ქ. თბილისში, გლდანი-ნაძალადევის რაიონში, გლდანის "დიდი ტბის" და მისი მიმდებარე ტერიტორიის, განაშენიანების რეგულირების გეგმისა და მრმიჯნავე ტერიტორიის განვითარების, ჩარჩო გეგმის პროექტის შეფასების შესახებ.